ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 134 (19875) ხუთშაბათი, 11 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩაი — 87

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ამინდი კვლავ ჭირვეულობს. არადა, ივნისის თითოეული დღე მეჩაიეებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, რათა შარშანდელ დონესთან შედარებით მაის-ივნისის ჩამორჩენა დაძლიონ. სწორედ ახლა პლანტაციებსა და ფაბრიკებში წყდება საიუბილეო წლის გეგმის შესრულების ბედი. იგი მთლიანად დამოკიდებულია მეჩაიეებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა გარჯაზე.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით, 9 ივნისისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 64.054 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.883 ტონით ნაკლებია. 8 ივნისს დამზადდა 5.487 ტონა ნედლეული.

მახარაძის რაიონში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 6.606 ტონა ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 9.977, გალში — 7.106, ქობულეთში — 5.442, ოჩამჩირეში — 4.495, წალენჯიხაში — 3.203, ჩხოროწყუში — 3.086, გეგეჭკორში — 3.780, ლანჩხუთში — 3.500, ხელვაჩაურში — 3.908, ჩოხატაურში — 1.840, ქ. წყალტუბოს ზონაში — 1.171, ცხაკაიაში — 1.552, ქ. ტყიბულის ზონაში — 1.685, ხობში — 2.145, წულუკიძეში — 1.328, გუდაუთში — 1.143, სამტრედიაში — 416, გულრიფშში — 585, ქედაში — 316, თერჯოლაში — 271, ქ. ვანეურის ზონაში — 160. ლოხუმში 211, აბაშაში — 64, ვანში — 38, ზესტაფონში — 27 ტონა.

ბეჯითი შრომით დაჭილიოთ...

იმასთან დაკავშირებით, რომ უფრო ოპერატიულად შუქდებოდეს გაზეთში მეჩაიეთა ჭირვარამი, „კომუნისტის“ რედაქციამ შექმნა საგუშაგო ქ. აბაშაში. საგუშაგოს (ხელმძღვანელი გ. ნოდია) წევრები არიან გაზეთის სპეციალური კორესპონდენტები, რომლებიც სისტემატურად შეამოწმეშენ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების მიმდინარეობას. ისინი გააშუქებენ დაწინაურებულ მშრომელთა საქმიანობას, ამასთან პირუთვნელად ამხელენ ნაკლოვანებებს, დარღვევებსა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ

ულ უფრო ახლოდგება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების და სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები. საარჩევნო კამპანიაში დაიწყო ახალი ეტაპი — არჩევნებისწინა კრებებზე დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან და კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია.

მართალია რომ, დიდი პიროვნული და შრომითი აღმავლობის ეთიოპიაში მიმდინარეობს არჩევნებისათვის მზადება. იგი უთუოდ ჯეროვან ადგილს დაიკავებს ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების და სამართალდაცვითი ორგანოების მთელი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის სულისკვეთებით სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისათვის დიდ და მრავალფეროვან მუშაობაში. ჩვენში ახლა ნათლად არის განსაზღვრული გარდაქმნის, დაჩქარების სტრატეგია და ტაქტიკა. სწორედ ამ გარდაქმნის მთავარი შამოძრავებელი ძალისა და შემოქმედის—მშრომელთა ფართო მასების შუაგულში არიან ადგილობრივი საბჭოები, რომელთა აქტიურობას, შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების განუხრელ დაცვაში მათს მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთელ ჩვენს საქმიანობაში. და, ცხადია, რამდენადაც მიზანსწრაფულად იმოქმედებენ ყველა საფეხურის საბჭოები, იმდენად რეალურად, ნამდვილ სახალხო საქმედ, კონკრეტულ შედეგად გადაიქცევა ჩვენი გეგმები, ოცნებები და ჩანაფიქრი.

ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოთა სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის მზადება ახალი შრომითი აღმავლობის, სოციალისტური შეჯიბრების ფაროდად გაჩაღების საშუალება გახდა.

ამას ნათლად ადასტურებს ჩვენს სამრეწველო საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში შრომითი კოლექტივების, ცალკეული ადამიანების ენერგიული შემართება, არჩევნების დღის შესახვედრად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების დიდი სურვილი და მისწრაფება.

მთელი ჩვენი საარჩევნო მუშაობის პრაქტიკა ადასტურებს, რომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ცენტრი საარჩევნო უბნებია გადაქცეული. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ შექმნილია 3188 საარჩევნო უბანი, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 51 ათასზე მეტი ოლქი, ხოლო სახალხო სასამართლოთა სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის 184 ოლქი. დიდი და ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს საუბნო-საარჩევნო კომისიებში, რომლებშიც 54 ათასამდე კაცია გაერთიანებული. ასობით ამომრჩეველთა კლუბი და აგიტპუნქტი ემსახურება ამ დიდ საქმეს, სადაც ათიათასობით აგიტატორი და პოლიტინფორმატორი მოღვაწეობს. ცხადია, მთელ ამ საარჩევნო სამზადისს ხელმძღვანელობენ და წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები, რომელთა მოვალეობაა სისტემატურად იზრუნონ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს არჩევნების ყველა რგოლის საქმიანობა, პოლიტიკური და პრაქტიკული მუშაობის ამ ცენრებში ჩაბმული იყვნენ ყველაზე გამოცდილი, განათლებული, კარგად მომზადებული აგიტატორები, ისეთი ადამიანები, რომელთა სიტყვას ექნება ფასი და ძალა, ხოლო მათი მთელი საქმიანობა მისაბაძი და სამაგალითოა ყველასათვის.

არჩევნების სამზადისის ყველა რგოლში და უბანზე, განსაკუთრებით კი იდეოლოგიურ დარგში მომუშავეთა უმთავრესი მოვალეობაა საფუძვლიანად, გასაგებად განუმარტონ მშრომელებს პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობანი, წარმოაჩინონ დაჩქარებისა და გარდაქმნის უდიდესი სიკეთე, მისი საერთო-სახალხო მნიშვნელობა, ყოველივე ის, რაც ახლა ხელს უწყობს ჩვენს წინსვლას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ხუთწლედის გეგმების შესრულებაში წარმატებებს.

ცხადია, არჩევნებისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს იქ, სადაც ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის წარმართვა მტკიცედ უპყრიათ ხელთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, დაკვირვებით, მონდომებით, წარსულის გამოცდილების გამოყენებით ეკიდებიან საქმეს.

არჩევნებისათვის მზადებაში უთუოდ ბევრი რამ კარგი კეთდება თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ზუგდიდის, თელავის და ზოგიერთ სხვა საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციაში. აქ, სმ ორგანიზაციებში მთელი მუშაობა მწყობრად, კონსტიტუციის და საარჩევნო დებულების შესაბამისად მიმდინარეობს. თვალს იზიდავს და გულს ახარებს საარჩევნო უბნების არა მარტო გაფორმება და საერთოდ გარეგნული იერ-სახე, არამედ აგრეთვე იქ დასაქმებულ ადამიანთა მონდომება, ამომრჩეველებთან ურთიერთობა, მოვალეობისადმი დამოკიდებულება, სამზადისისადმი გონივრული მიდგომა. ზოგიერთ საარჩევნო უბანში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უფრო ეფექტიანი ორგანიზაციის მიზნით ღონისძიებებს აერთიანებენ სხვადასხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ისინი მოქმედებენ ერთიანი, ზუსტად შედგენილი გეგმით, ერთად ამზადებენ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებს, თავს უყრიან სათანადო ლიტერატურას, უზრუნველყოფენ აგიტპუნქტებს ტელევიზორებით, რადიომიმღებებით, თვალსაჩინოებით. ამასთან ერთად სასურველი და აუცილებელია მთელი ეს მუშაობა ხელს უწყობდეს იმას, რომ საარჩევნო უბნებში სისტემატურად ეწყობოდეს თემატური საღამოები, ლექციები, შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან, ხუთწლედის მოწინავეებთან, ადგილობრივ ხელმძღვანელებთან. და, ყოველივე ეს მკვეთრად უნდა აუმჯობესებდეს არჩევნებისათვის მზადებას, საერთო საქმეს, ჩვენს წინსვლას მუშაობის ყველა უბანსა და რგოლში.

არჩევნებისათვის მზადების ამ ეტაპზე, არჩევნებისწინა კრებებზე, დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებზე მთელი ჩვენი მუშაობა უნარიანად უნდა წარვმართოთ კონკრეტული საწარმოებისა და დაწესებულებების წინაშე მდგომი ამოცანებისა და დავალებების წარმატებით გადაწყვეტის ნიშნით, იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას თანამედროვე ეტაპზე. ხალხმრავალ შეხვედრებს, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებთან გაიმართება, უნდა მივცეთ უაღრესად საქმიანი, მიზანსწრაფული ხასიათი, ცხადია, ყოველ შეხვედრას გულმოდგინე და უაღრესად სერიოზული მომზადება დასჭირდება, რათა ისინი არ გადაიქცეს ჩვეულებრივ კრებებად, საანგარიშო ღონისძიებებად და ანგარიშების ჩაბარებად. დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრებზე, ამ საკითხისადმი მიძღვნილ კრებებზე სერიოზული და საქმიანი სჯა-ბაასი უნდა გაიმართოს მოცემული საარჩევნო ოლქის და მთლიანად რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებზე, კონკრეტულად კი სადეპუტატო საქმეებზე, იმაზე, რასაც ხალხის მსახურმა მომავალში უნდა მიაქციოს ყურადღება და იზრუნოს საერთო საქმის სასიკეთოდ.

ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეების წლევანდელი არჩევნების დასკვნითი, ყველაზე პასუხსაგები ეტაპი იმ დროს ეწყობა, როცა ბევრი უკვე შეუდეგია ბრძოლაში ... ბეზე და კურორტებზე დაისვენებს, ნაწილი კი სწორედ 21 ივნისს გზაში იქნება და იქ მოუწევს ხმის მიცემა. ამისათვის დიდი საზრუნავი ექნებათ საარჩევნო კომისიებს, მის წევრებს. საჭიროა საარჩევნო დებულების მიხედვით არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს ამ პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის გარეშე. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ როგორც ადგილებზე, ასევე კურორტებზე, გზაში მყოფი თუ საერთოდ საკუთარ საცხოვრებელს დროებით მოწყვეტილი არც ერთი საბჭოთა მოქალაქე არ დარჩეს ხმის მიუცემლად. უნდა დავეხმაროთ მათ, რათა მოიხადონ თავიანთი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ვალი.

წლევანდელი არჩევნებისათვის მზადება ჩვენს ქვეყანაში დიდი გარდაქმნების ეთიოპიაში მიმდინარეობს. იგი უთუოდ იქნება სოციალისტური საზოგადოების ღრმა დემოკრატიზმის, მასებთან პარტიის განუყრელი კავშირის განმტკიცების ბაყფი დადასტურება. სწორედ ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ არჩევნები მოწყოს ორგანიზებულად, მაღალ პოლიტიკურ დონეზე, ხელი შეუწყოს მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ზრდას.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

8-9 **ივნისს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საკითხებზე, რომლებიც გამოაქვთ განსახილველად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე.

სამუშაო თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ბ. ნ. ელცინი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ნ. ვ. ტალონინი.

თათბირზე მოწვეულები იყვნენ საწარმოებისა და გაერთიანებების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები და პარტიული მუშაკები.

თათბირი გახსნა მ. ს. გორბაჩოვმა.

ეკონომიკის მართვის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესახებ ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ნ. სლიუნკოვმა.

თათბირზე გამოვიდნენ ბ. ი. ფომინი — ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ელექტრომანქანათმშენებლობის საწარმოო გაერთიანების „ელექტროძალის“ გენერალური დირექტორი, ვ. ვ. მოსკალენკო — სუმის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მანქანათსაშენებელი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე, ა. ი. ბუჟინსკი — მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი მოადგილე, ი. ა. პესკოვი — ი. ვ. ანდროპოვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „როსტსოფლმანქანის“ გენერალური დირექტორი, გ. ა. არბატოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, ვ. მ. ლუკიანენკო— სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის მინისტრი, ვ. პ. კაბაიძე — ივანოვოს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ნ. ი. ტრავკინი — მოთავრმოსკოვოლქმშენის № 18 ტრესტის მმართველი, ა. ნ. გერასიმოვი — სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ვ. კოლპაკოვი — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი, ა. ვ. ჩუპლინსკასი — ლიტვის საწარმოო გაერთიანება „სიგმის“ გენერალური დირექტორი, გ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. დ. ნაგაევსკი — საწარმოო გაერთიანება „ჟდანოვმძიმემანქანის“ გენერალური დირექტორი, ო. ტ. ბოგომოლოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, მ. ს. შკაბარდნია — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების მინისტრი, პ. ვ. ბუდერკინი — საწარმოო გაერთიანება „ომსკსაბურავის“ გენერალური დირექტორი, გ. ხ. პოპოვი — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ა. ა. ნესტეროვი — საშეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ომმლექსის“ გენერალური დირექტორი, ს. ი. კრუპკო — ვორონეშოლოგვადის საკონდენტრო ფაბრიკის დირექტორი, ლ. ი. აბალკინი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება პრესაში უახლოეს დღეებში. (საკდესი).

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ

პრაღა. გამომცემლობა „სვობოდამ“ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ბროშურა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი ჩეხოსლოვაკიაში“. მასში შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა სიტყვები და გამოსვლები, ჩეხოსლოვაკიელ მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შეხვედრათა ანგარიშები, სხვა მასალები და დოკუმენტები.

იტყობინება რა ბროშურის გამოსვლას, „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რუდე პრავო“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი დონის მოლაპარაკება ახალი ნიშანსვეტი გახდა საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის, ორივე ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ

9 **ივნისს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა მიიღო შვეიცარიის მრეწველობის მინისტრი ტ. პეტერსონი, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის XV სესიის მოწყობასთან დაკავშირებით.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს აღინიშნა, რომ შარშან სსრ კავშირში შვეიცარიის პრემიერ-მინისტრის ი. კარლსონის ვიზიტის დროს დამყარებული საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის კონტაქტებისა და მაშინ მიღწეული მორიგებების შედეგად ხელშემწყობი პირობები შეიქმნა სსრ კავშირისა და შვეიცარიის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის. მხარეებმა გამოაცხადეს, რომ ორივე ქვეყანა ისწრაფვის აქტიურად გამოიყენონ ეს პირობები საგაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა გაცვლის დინამიკური გაფართოების მიზნით, ვინაიდან ეს შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, განამტკიცებს მათ ურთიერთმოქმედებას როგორც ორმხრივი, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით, ემსახურება ევროპის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და ვითარების ნორმალიზაციის საქმეს.

განიხილეს ეკონომიკის დარგში საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის მთელი რიგი იმ პროექტების განხორციელების პერსპექტივები.

ნ. ი. რიჟკოვმა გააცნო შვეიცარიის მინისტრს ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს ევროპის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

საუბარმა საქმიან, კეთილმოსურნე ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

ᲡᲐᲣᲙᲘᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲔᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲓᲐᲕᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲗ ᲨᲮᲘᲤᲖᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

ᲨᲮᲘᲤᲖᲔᲚᲘ ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ალკოჰოლიზმის დაძლევას პარტია მიიჩნევს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის, განსაზღვისათვის მრავალპლანიანი მუშაობის შემადგენელ ნაწილად, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. ამ საკითხებისადმი შეუნელებელი ყურადღების ახალი დადასტურება გახდა 1987 წლის 22 მაისს მიღებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისა და ამ მუშაობის აქტიურების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების შესრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ამოცანები განხილეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელშიც მოწვეულ იქნენ სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რსფსრ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის, პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკები.

თათბირზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

აღინიშნა, რომ პარტიის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორი წლის მეცადინეობამ, რომელსაც აქტიურად უჭერენ მხარს საბჭოთა ადამიანები, არსებითად გაუჯობესა ქვეყანაში ზნეობრივი ატმოსფერო. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გადაზარდა ჯანსაღი, ფიზიკური ცხოვრების წესისათვის მასობრივ მოძრაობად. ახლა უაღრესად საჭიროა მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით გავაქტიუროთ მუშაობა ლოთობის აღმოსაფხვრელად, შევქმნათ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილად ერთიანი ფრონტი, ვიმოქმედოთ შეუპოვრად, მტკიცედ და სისტემურად.

განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმატება შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის გაერთიანებულმა მეცადინეობამ. ამ საქმეში საჭირო კომპლექსური მიდგომა, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი, სამედიცინო, ადმინისტრაციული სამართლებრივ ღონისძიებათა უნარიანი შეხამება. იერიშით, ხმაურიანი ხანმოკლე კამპანიებით, უპირატესად აკრძალვითი მეთოდებით პრობლემის გადაჭრის ცდებს ის მოჰყვა, რომ დაქვეითდა ლოთობის დაძლევისათვის გამიზნული მეცადინეობის ეფექტიანობა, მთელ რიგ ადგილებში გაიზარდა არყის შინ გამოხდა. სახელი გაუტყდა სიფხიზლის ზონების გაფართოებისათვის სასარგებლო, საჭირო მუშაობას.

მწვავედ გაკრიტიკეს სსრ კავშირის სახალრომრეწვის, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზის, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობის პოზიცია, რომელმაც დაუშვეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთელ რიგ რეგიონებში გაზრდილიყო ღვინისა და არყის წარმოება და რეალიზაცია. უფრო აქტიურად უნდა ხორციელდებოდეს მუშაობა იმ საწარმოების პროფილის შეცვლისათვის, რომლებიც უშვებდნენ სპირტიან სასმელებს, უალკოჰოლო პროდუქციის წარმოებისათვის. ამასთან დაკავშირებით თათბირზე აღინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკაში შეძენილი დადებითი გამოცდილება.

მტკიცე ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას წარმოებაში, განსაკუთრებით რკინიგზის, სამდინარო და წყლის ტრანსპორტზე, აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების ხმარების ბოლო დროს გაზრდილი შემთხვევები. სრულიად დაუშვებელია, რომ ქეიფში მონაწილეობდნენ პარტიის ცალკეული წევრები.

უნდა გავაფართოოთ ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის მუშაობის ფარგლები — გამოვძებნოთ ადამიანების აღზრდის უფრო ეფექტიანი ფორმები, უფრო გაბედულად დავამკვიდროთ ახალი ტრადიციები, ენერგიულად მოგვიდოთ ხელი ახალგაზრდობის შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციას, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. უფრო აქტიურ საქმიანობას უნდა ეწეოდნენ კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კოლექტივები, სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები, პრესა, ტელევიზია, რადიო.

ყურადღება არ უნდა შეანელოთ აგრეთვე რესურსების ამოქმედებისადმი, რათა გავზარდოთ სახალხო მოხმარების ხარისხიანი საქონლის წარმოება, გავაფართოოთ ფასიანი მომსახურება.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სიფხიზლის — ჩვენი ცხოვრების ნორმის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ღონისძიებები უნდა გაძლიერდეს.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ი. ლუკიანოვი, ვ. პ. ნიკონოვი. (საკდესი).

ᲒᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

თერჯოლის რაიონის ეკლარის ქვის კარიერების სამმართველოს კოლექტივმა მიმდინარე წლის ხუთ თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 20 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო მოგების ზრდის დავალება 108,5 პროცენტით გაანაღდა.

ივნისში აქ კიდევ უფრო დაჩქარეს შრომის რიტმი და თვის პირველი დეკადის დავალება ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულეს.

ᲛᲝᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲕᲘᲗᲘ

საიუბილეო წლის პირველი პროდუქცია — ვარდის ზეთი გამოუშვა ყვარლის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანამ. დამკვეთს უკვე გაეგზავნა 145 ტონა ძვირფასი ნედლეული, ბევრად მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის მაღალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშვნისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ც. ოქრუაშვილმა, ბ. ბიძინაშვილმა, ბ. გასიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც წელს თითოეულ ჰექტარზე ბევრად მეტი მოსავალი მოიწიეს, ვიდრე შარშან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲒᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ

ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ნივთიერების შენარჩუნებისათვის ზიარი ჭურჭლის პრინციპი წარმატებით გამოიყენეს ხორცლის პურის „თბილისურის“ გამოცხობისას. მისი გამოშვება დაიწყეს საწარმოო გაერთიანება „თბილისპურის“ საწარმოებმა.

ერთ რიგში მჭიდროდ დაწყობილი ცომის ხუთი გუნდა თითქოს ერთ მთლიანს, — თავისებურ ზიარ ჭურჭელს შეადგენს. ამით მეცხრდება სურნელოვანი ნივთიერების აქროლადობისათვის ღია ზედაპირი და გამოცხობისას თანაბრად ნაწილდება ცომის მთელ მასაზე. პურის გამოცხობის ან მაღაზიაში მიტანის შემდეგ ეს კონსტრუქცია, რომელიც ხელს უწყობს ნაწარის საგემოვნო ხარისხის გაუმჯობესებას, ოღლად იყოფა ხუთ თანაბარ, 900 გრამიან პურად.

— ამ ხერხით ჩვეულებრივ ვაცხობთ ზოგიერთი სახეობის ფუნთუშეულს, — თქვა № 4 პურის ქარხნის დირექტორმა მალხაზ დოლიძემ, სადაც პირველად შეუდგნენ „თბილისურის“ გამოშვებას. — პურის გამოცხობისას კი, ყოველი შემთხვევისათვის ჩვენს რესპუბლიკაში, მას ჯერჯერობით არ იყენებდნენ. ახალი სახეობის პური გემოთი გვაგონებს შინგამომცხვარ პურს. ცომის მომზადების ტექნოლოგია იმის ანალოგიურია, რომლითაც ქართულ პურს აცხობენ.

„თბილისურის“ გამოშვება აითვისეს იმ უბანზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ნოდარ სიხარულიძე. მექანიზებული ნაკადური ხაზი დღე-ღამეში საშუალოდ აცხობს ექვს ტონა ასეთ პურს. მას ძირითადად აწვდიან რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინისა და პირველი მაისის რაიონების პურის მაღაზიებს.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროში საქონფორმის კორესპონდენტს ვ. ბაბუაძეს უთხრეს, რომ თბილისურის“ გამოცხობას შეუდგნენ აგრეთვე № 6 ქარხანაში, მას ითვისებს „თბილისპურის“ № 5 მექანიზებული საცხობიც. ახალი სახეობის პროდუქციას დადებითი შეფასება მისცა პურისა და პურფუნთუშეული ნაწარმის ხარისხის დარგობრივმა ცენტრალურმა ლაბორატორიამ, რომელსაც ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჯიბუტი ხელმძღვანელობს.

— „თბილისურზე“ მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა, იგი ჩვენი მაღაზიების დახლებზე დიდხანს არ ჩერდება, — თქვა „თბილისპურეგარობის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო საბანაძემ. — თუ ასეთი კონდიციის პროდუქციით სისტემატურად ვივაჭრებთ, დღის წესრიგიდან მოიხსნება ხარისხის მტკივნეული საკითხი. ჩვენი გამოანგარიშებით, კარგი იქნება, თუ ქალაქის პურის ვაჭრობის სისტემაში ყოველდღიურად 30 ტონა „თბილისური“ გვექნება.

(საკინფორმი).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲬᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საყოველთაო და სრული განიარაღების, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, მხოლოდ კაცობრიობის საკეთილდღეოდ მეცნიერების გამოყენების საქმეში მეცნიერთა მნიშვნელოვანი წვლილის აღიარება გახდა ის, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს, დიდი ბრიტანეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, საერთაშორისო პაგუოშის მოძრაობის პრეზიდენტს დოროთი ხოჯკინს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. 9 ივნისს კრემლში გამართულ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრებაზე საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნ. ნ. ბლოხინმა დ. ხოჯკინს გადასცა ლაურეატის დიპლომი და ო

ფინანსური სამსახური: შეიმოწმებიდან პარტნიორობისაკენ

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყველა ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალური რეზერვის ამოქმედების პირობით. ეს, თავის მხრივ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საბუღალტრო და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებს.

პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ამ სამსახურებს მიერ გაწეული მუშაობის შედეგებსა და სკკა ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებზე ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი.

ფინანსურ საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წინაშე არასოდეს მდგარა ასე მნიშვნელოვნად, ასე გამოკვეთილად ეკონომიკის, საბუღალტრო აღრიცხვისა და კონტროლის საკითხები, — თქვა მინისტრმა. — ბუნებრივია, რომ ფინანსთა სამინისტრომ გვერდი არ უნდა აუაროს ასეთ პრობლემებს. ავანგარდული პოზიცია უნდა დაიკავოს მათ გადაწყვეტაში. გვჭირდება უტყუარი, რეალური საანგარიშო მონაცემები, რათა შევაფასოთ ორგანიზაციებისა და საწარმოების საწარმო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ნამდვილი მდგომარეობა. არანაკლებ საჭიროა მეურნეობრიობის სოციალისტური პრინციპების დაცვისადმი, მატერიალური, შრომისა და ფინანსური რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისადმი კონტროლიც. კონტროლი გვეხრდება იმათ წინააღმდეგ ბრძოლაშიც, ვინც საკუთარ ჯიბეს სახელმწიფოს ჯიბეში ურევს. ვინაიდან, როგორც პარტიის XXVII ყრილობაზე თავის პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნა სკკა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენს შორის ჯერ კიდევ არიან ათასი ჯურის დამტაცებლები, ეგზარმოიები და გამომძალველები, რომლებიც არ თაკილობენ გამოიყენონ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა ანგარების მიზნით.

ფარგად აქვს რა შეგნებული, თუ როდენ სერიოზული და მნიშვნელოვანია ეს ამოცანები ჩვენი რესპუბლიკისათვის, ფინანსთა სამინისტრო აორგანიზებს საბუღალტრო აღრიცხვისა და საეწყებო კონტროლის სრულყოფის ღონისძიებებს. თუ ვეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ფინანსთა სამინისტროს კონცეფცია ამ საკითხში, იგი ასეთი იქნება: შეგუხამოთ შემოწმება თვით შემოწმების დროს პრაქტიკულ დახმარებასა და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

.ასეთი მიდგომა ძირეულად განსხვავდება ბოლო წლებში ჩამოყალიბებული მახინჯი პრაქტიკისაგან, რომელიც რევიზიების ძირითად მიზნად მიჩნეული იყო საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დარღვევათა მხოლოდ გამოვლენა და ფიქსაცია. რაც უფრო „საშინლად“ იყო წარმოდგენილი რევიზიების აქტებში გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებები, მით უფრო მაღალი შეფასება ეძლეოდა რევიზორთა მუშაობას. აშკარა იყო სოციალისტური აღრიცხვისა და კონტროლის არსის გარყვეული დეფორმაცია.

ბოლო წლებში ეს ტრადიციები ირღვევა, სულ უფრო ხშირად ინერგება ფინანსური კონტროლი, ხოლო თვით რევიზიებს ენიჭებათ, რომ იტყვიან, შემოქმედებითი ხასიათი, რათა გამოვლენილ დარღვევათა ჩამოთვლის გარდა აქტი შეიცავდეს საფინანსო-სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების წინადადებებს. რევიზიები, ჩვენი აზრით, უნდა მოეწყოს შესამოწმებელ ორგანიზაციასთან მჭიდრო და თანასწორუფლებიანი პარტნიორობით, მასში თვით შესამოწმებელთა და საწარმოს წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობით. ამ წესით მოეწყო წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია, როცა დარღვევების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოსწორდა თვით რევიზიის დროს, დაინახა საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერთობლივი მოქმედების ღონისძიებანი. შეიცავდა თვით რევიზორებისა და შესამოწმებელების ურთიერთობა, რომლებსაც აერთიანებთ ერთი მიზანი — აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი.

— მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, პატივცემულო დემურ, რომ სა-კონტროლო-სარევიზიო მუშაობის დონე უკვე შეესაბამება რესპუბლიკაში დაწუებული გარდაქმნის სტრატეგიულ კურსს?

— რა თქმა უნდა, არა. სამწუხაროდ, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯერ კიდევ სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, როგორც მართვის საიმედო საშუალებას, საკმარისად არ ზრუნავს მისი ორგანიზაციული სრულყოფისათვის, დაგეგმვის გაუმჯობესებისა და რევიზიების გეგმების შესრულებისათვის. მარტო 1986 წელს არ მოეწყო 893 დაგეგმილი რევიზია, მცირეა კომპლექსურ რევიზიათა ხვედრითი წილი. ისეთი სამინისტროები და უწყებები, როგორიც არის ვაჭრობის, პურ-პროდუქტების, შრომის სახელმწიფო კომიტეტი, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, რევიზიების მოწყობის გეგმებს ასრულებენ სარევიზიო ობიექტების რიცხვის შემცირების გზით, ხოლო სახაგრომრეწვი, მშენებლობის სამინისტრო და ცეკავშირი შეცირებულ გეგმების შესრულებასაც კი ვერ უზრუნველყოფენ. რევიზიების არათანაბარზომიერი დაგეგმვა უარყოფით გავლენას ახდენს მათ ხარისხზე. მაგალითად, იმ ორგანიზაციათა საერთო რიცხვიდან, რომლებშიც საუწყებო რევიზია უნდა მოეწყოს, 1986 წლის პირველი ნახევრისათვის დაგეგმილი იყო მხოლოდ 40 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 60 პროცენტი წლის მეორე ნახევარზე მოდიოდა.

უფრო მეტიც, ორ წელზე მეტ ხანს არ მოწყობილა რევიზია სახაგრომრეწვის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სახმშენის, უსინათლოთა საზოგადოების სისტემაში შემავალ 87 ორგანიზაციაში და ა. შ.

— რესპუბლიკაში დასახულია და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი საკადრო პოლიტიკაში. როგორია საუწყებო კონტროლით დასაქმებული კადრების შემადგენლობა და რამდენად შეესაბამება იგი დღევანდელი დღის მოთხოვნებს?

— აქაც ხდება სერიოზული დარღვევები, ბევრია დამფიქრებელი ფაქტი. ამას წინათ ჩვენმა სამინისტრომ შეისწავლა საკონტროლო სამსახურების მუშაკთა დემოგრაფიული და კვალიფიკაციური შემადგენლობა. ანალიზმა ცხადყო, რომ ცენტრალურ აპარატში მომუშავე 450 რევიზორიდან 36 (ანუ 8 პროცენტს) არა აქვს უმაღლესი განათლება, 20 კაცი საშუალო სპეციალური განათლების მქონეა, ხოლო ზოგადი საშუალო განათლება შვიდს აქვს. ყოველ მეოთხე რევიზორს ამ თანამდებობაზე სამუშაოდ მოსვლამდე არაფერი საერთო არ ჰქონია სარევიზიო სამსახურთან.

საკმარისი ყურადღება არ ეთმობა კადრების დროული დაკომპლექტების საკითხებს; რევიზორის საშტატო თანამდებობები ხშირად დიდხანს ვაკანტურია. მაგალითად, 1987 წლის დამდეგისათვის სამინისტროებსა და უწყებებში ვაკანტური იყო რევიზორთა 57 საშტატო ერთეული. დამახასიათებელია, რომ 1985 წელს გორის ეკონომიკის ინსტიტუტის კურსდამთავრებული 178 ბუღალტერ-ეკონომისტიდან 27 გაუნაწილებელი დარჩა, და, თუმცა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და ნავთობპროდუქტების კომიტეტს 30 ვაკანტური ადგილი ჰქონდათ, არც ერთ სპეციალისტზე არ წარუდგენიათ განაცხადი.

რევიზორთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ უხარისხოდ აწყობს რევიზიებს, რაც ხელს უწყობს გაფლანგვა-დატაცებათა რიცხვის ზრდას, საფინანსო დისციპლინის სხვადასხვაგვარ დარღვევებს, მოწყობილი რევიზიების მდარე ხარისხის, ხშირად კი აშკარად ზერელე ხასიათის გამო ზოგჯერ ვერ ვლინდება ნაკლოვანებანი, საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. არასაუწყებო მაკონტროლებელი ორგანიზაციების, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწყობილი ხელმეორე რევიზიები კი, ჩვეულებრივ, ავლენს არასასურველ სურათს: დატაცებებიც ხდება, ბოროტმოქმედებაც და დარღვევებიც.

— შეგიძლიათ თუ არა ეს კონკრეტულად დაგვისაბუთოთ?

— ბევრია ამის მაგალითი. საქსახმომარაგების მახარაძის საბითუმო მაღაზიაში მრავალი წლის მანძილზე საუწყებო რევიზიებმა ვერ აღმოაჩინეს ვერაფითარი სერიოზული დარღვევა, ფინანსთა სამინისტროს რევიზიამ კი დაადგინა ფასეულობათა დიდი ოდენობით დატაცების ფაქტი. ამ საქმის ძიება მიმდინარეობს.

ფართოდ გახმაურდა აგრეთვე მთელ რიგ რაიონებში ცეკავშირის სისტემაში ასკილის, სხვა ველური ხილისა და კენრის, თხილის დამზადებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცების ფაქტები. შემოწმებისა და ძიების პროცესშია რუსთავის კოოპერაციონში ტარხუნის დამზადებასთან დაკავშირებული და სხვა საქმეები.

— პატივცემულო დემურ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელდა თვალსახვეულა და შესრულებული სამუშაოების, გამოშვებული და რეალიზებული პროდუქციის, გაწეული მომსახურების მოცულობათა წამატებების ფაქტები. როგორ რეაგირებს ყოველივე ამაზე ფინანსთა სამინისტრო, რა ღონისძიებებს მიმართავს სამარცხვინო მოვლენათა აღსაკვეთად?

— ახლა ყველასათვის ცნობილია რესპუბლიკაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობათა წამატებების ფაქტები. საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო აპარატის არასაკმარის მუშაობას მოწმობს ის ფაქტი, რომ საანგარიშო მონაცემების ხელოვნური გაზრდისა და დამახვილებული დირექტიული დადგენილებების მიუხედავად ვერ მივაღწიეთ ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შემუშავებული სიახლეების დროულ დანერგვას სახალხო მეურნეობაში. ინსტიტუტში უკანასკნელი წლების მანძილზე გაიხსნა რამდენიმე საინერნო რესპუბლიკური დარგობრივი ცენტრი, დარგობრივი ლაბორატორია, იქმნება სასწავლო-სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებები, მოქმედებს სამეცნიერო-საწარმოო უბნები რესპუბლიკის წარმყვან ქარხნებში, მაგრამ ჩვენ ჯერაც ვერ ვახერხებთ სამეცნიერო კვლევის შედეგების ფართო გამოყენებას სასწავლო პროცესში. ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტები თითქმის არ მონაწილეობენ სამეცნიერო სამუშაოებში. ინსტიტუტის მატერიალური ბაზა საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ძვირად ღირებულ მოწყობილობას ხშირად ეფექტიანად ვერ ვიყენებთ. ერთი სიტყვით, თვითდამშვიდების საბაბი არა გვაქვს: ჩვენს კოლექტივს წინ ბევრი რთული და პასუხსაგები სამუშაო ელის.

ა. იაკობაშვილი.



ალაზნის ველის ნაყოფიერ მიწებზე დაიწყო პურეულის მკა. უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ სოღლაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები.

1400 ჰექტარი უჭირავს მეურნეობაში პურის ყანას. ყოველ ჰექტარზე კომბაინერები ლეწავენ 32 ცენტნერ ხორბალს გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად.

მხვნელ-მთესველთა შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პასუხსაგები კამპანიის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დამთავრებისათვის.

სურათებზე: ნორმანახვევარ-ორ ნორმას ასრულებენ მკის დროს თვითსაცლელის მძღოლი იური ხარაშვილი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ტიბაანელ მხვნელ-მთესველთა შეჯიბრებას; მკა ტიბაანში.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დისციპლინის დაცვას — კოლექტიური გარანტია

შეფოხენ ახალგაზრდებს

თბილისელ ავიამშენებლებს აქვთ დაუწერელი კანონი, წმიდათა წმიდა ტრადიცია: თუ ჩამორჩა ერთი ბრიგადა, ის, რომელიც გეგმას თავს ართმევს, შეფობას უწევს ჩამორჩენილს, გზავნის იქ თავის მუშაკებს, უზიარებს გამოცდილებას.

ახლა, მას შემდეგ რაც დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა სახელმძღვანელოდ გაიხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის კოლექტიური გარანტიისათვის მოძრაობის შესახებ“, ჩამორჩენილებისათვის ზრუნვა კიდევ უფრო გაძლიერდა. უფროსი ოსტატის ანზორ ქადგაშვილის წინადადებით ყოველმა მაღალი კლასის ოსტატმა იკისრა შეფობა ახალგაზრდა მუშებისადმი, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოვიდნენ წარმოებაში.

თვითონ ა. ქადგაშვილი ოთხ ჭაბუკს შეფობს. მის მაგალითს მიბაძეს აგრეთვე შრომის ვეტერანებმა გიორგი მაისურაძემ, შალვა ინასარიძემ და სხვებმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კრედიტების მოსაკოვებლად ნამუშევრების მიღების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიები დაწესდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 მარტის დადგენილებით.

პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნამუშევრები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების განვითარების ყველა მიმართულებით.

ნამუშევრებმა ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი, მოიპოვოს დიდი საზოგადოებრივი აღიარება და ფართოდ გავრცელდეს და დიდი ეკონომიკური ეფექტი მოგვცეს.

პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევრები შეუძლიათ წარმოადგინონ საკავშირო სამინისტროებმა და კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან და საბჭოებთან ერთად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დირექტიული ორგანოების დადგენილებებით ან. სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებებით შესრულებულ ნამუშევრებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის პრემიების მოსაპოვებლად მასალების მიღება მთავრდება მიმდინარე წლის 1 სექტემბერს.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ნამუშევრების მიხედვით ყველა მასალასა და დოკუმენტს, სამშენებლო და აგროსამრეწველო კომპლექსის გარდა, მიიღებს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების განყოფილება მისამართით: 103905, მოსკოვი, კ-9, გორკის ქუჩა № 11, ოთახი 137, ტელეფონი: 229-03-05, 229-42-12.

მშენებლობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში ნამუშევართა მიღების ვადები შეიძლება შეიტყონ მსურველებმა სსრ კავშირის სახმშენში (ტელეფონი 292-68-07 და 292-62-49) და სსრ კავშირის სახაგრომრეწვში (ტელ.290-47-65).

უმაღლესი სასწავლებელი: გარდაქმნის გზაზე

საპატიო წოდება გვავალებს

1987 წელი ახალი ეტაპია ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ისტორიაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით იგი შეტანილია ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სიაში. უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს მოხდა დღეს, როცა გარდაქმნა იგრძნობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის უმაღლეს სკოლაშიც, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობა.

წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის საპატიო წოდება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ მეათედ ნაწილს აქვს. ამ სასწავლებლებში სახალხო მეურნეობის უმთავრესი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკური საქმიანობა სრულდება.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო სამუშაოთა რაოდენობა 50-დან 80 პროცენტამდე გაიზარდა. ინსტიტუტის მეცნიერები მონაწილეობენ რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის 30 კომპლექსურ მიზნობრივ სამეცნიერო პროგრამაში. მიღებული შედეგების დანერგვის „გეოგრაფია“ კი ძალზე ვრცელია — მთელი საბჭოთა კავშირია — რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ბაიკალ-ამურის მмагისტრალამდე და ამურის კომსომოლსკამდე. კიდევ ერთი ციფრი, რომელსაც განმარტება არ სჭირდება: უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დანერგილი სამუშაოების ეკონომიკურმა ეფექტმა 20 მილიონ მანეთს მიაღწია.

ეს „პირობითი“ მილიონები არ არის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში შექმნილი დაბალტემპერატურული ტექნოლოგიური ინსტალაციები, ხელსაწყოები, კონსტრუქციები და ტექნოლოგიური პროცესები მოქმედებენ საწარმოებში და ისინი საგრძნობი თანხებით ავსებენ სახელმწიფოს ყულაბას.

ამ სიახლეთა შორის აღსანიშნავია კომპლექსური ეკონომიკური შესადარებელი ციკლოკონვერტორი, ელექტრონული, ოპტიკური და სხვა დარგებისათვის შექმნილი უზუსტესი საშალაშინო ჩარხი; მდინარეთა ნაპირების დასაცავი უნივერსალური ნაგებობანი; ლითონის ნაკეთობათა ხარისხის შემოწმების უზუსტესი სპექტროპოტენციოსტატია და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები ინსტიტუტში შესრულებულია საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ამის მეოხებით 1986 წელს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მიყიდული ლიცენზიების რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკა კავშირში პირველ ადგილზე გამოვიდა.

წელსაც საქართველოდან პირველი გაყიდული ლიცენზია პოლიტექნიკური ინსტიტუტისაა. იაპონურმა ფირმამ „ტაირიკუ ტრიდინგმა“ შეისყიდა საშალაშინო ჩარხის დამზადების ლიცენზია, რომელიც მანქანათმშენებლობის კათედრაზე შეიქმნა. ფირმის თხოვნით, ჩარხი ერთობლივად იწარმოება და შემდეგ იაპონიაში გაიყიდება. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობის 65 წლის მანძილზე საერთაშორისო ასპარეზზე ლიცენზიებისა და კონტრაქტების ფორმით პირველად გავიდა ინსტიტუტის კედლებში მიმდინარე სამეცნიერო სამუშაოები.

საგრძნობლად გაფართოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტებიც. ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები დაიდო პრაღის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, ჩეხოსლოვაკიის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინჟინრების ინსტიტუტთან. კ. გოტვალდის სახელობის საკონცერნო საწარმოსთან „პოვაკის მანქანათსამშენებელი ქარხნები“, ბუდაპეშტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, უნგრეთის მრეწველობის სამინისტროს ენერგეტიკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა შრომები ხშირად ქვეყნდება საზღვარგარეთ, ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი კი უკვე ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატსა და 51 დოქტორს მოიცავს, შარშან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა აკადემიკოს თ. ლოლაძის წიგნი „ლითონების ჭრა“, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ „სითხეების მექანიკის ენციკლოპედიაში“ ერთ-ერთი თავი პროფესორ ა. ჯვარშეიშვილის დაწერილია.

— ნიშნავს თუ არა ინსტიტუტის მიღწევების ობიექტური შეფასება იმას, რომ თქვენ ყველა პრობლემა გაქვთ გადაწყვეტილი? — შევეკითხეთ სამეცნიერო-კვლევითი გამყოფილების უფროსს, პროფესორ გ. დემეტრაშვილს.

— ჩვენ გვაღელვებს ის, რომ საერთო ენთუზიაზმისა და ცხოვრების ობიექტური შეფასება იმას, რომ თქვენ ყველა პრობლემა გაქვთ გადაწყვეტილი? — შევეკითხეთ სამეცნიერო-კვლევითი გამყოფილების უფროსს, პროფესორ გ. დემეტრაშვილს.

— ჩვენ გვაღელვებს ის, რომ საერთო ენთუზიაზმისა და ცხოვრების ობიექტური შეფასება იმას, რომ თქვენ ყველა პრობლემა გაქვთ გადაწყვეტილი? — შევეკითხეთ სამეცნიერო-კვლევითი გამყოფილების უფროსს, პროფესორ გ. დემეტრაშვილს.

— ჩვენ გვაღელვებს ის, რომ საერთო ენთუზიაზმისა და

უმაღლესი სასწავლებელი: გარდაქმნის გზაზე

საპატიო წოდება გვავალებს

1987 წელი ახალი ეტაპია ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ისტორიაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით იგი შეტანილია ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სიაში. უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს მოხდა დღეს, როცა გარდაქმნა იგრძნობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის უმაღლეს სკოლაშიც, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობა.

წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის საპატიო წოდება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ მეათედ ნაწილს აქვს. ამ სასწავლებლებში სახალხო მეურნეობის უმთავრესი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკური საქმიანობა სრულდება.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო სამუშაოთა რაოდენობა 50-დან 80 პროცენტამდე გაიზარდა. ინსტიტუტის მეცნიერები მონაწილეობენ რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის 30 კომპლექსურ მიზნობრივ სამეცნიერო პროგრამაში. მიღებული შედეგების დანერგვის „გეოგრაფია“ კი ძალზე ვრცელია — მთელი საბჭოთა კავშირია — რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ბაიკალ-ამურის მაგისტრალამდე და ამურის კომსომოლსკამდე. კიდევ ერთი ციფრი, რომელსაც განმარტება არ სჭირდება: უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დანერგილი სამუშაოების ეკონომიკურმა ეფექტმა 20 მილიონ მანეთს მიაღწია.

ეს „პირობითი“ მილიონები არ არის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში შექმნილი და-

თეორიის საკითხები

სოციალიზმის თანამედროვე ეტაპის ზოგიერთი თეორიული პრობლემა

პარტიის XXVII ყრილობამ გააცხოველა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის ახალგული, გარდამტები ეტაპი, თვისებრივად ახალი სიტუაცია, და შეიმუშავა თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური აზროვნება. იგი დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, ხოლო დაადასტურა და დააკონკრეტა წლევანდელმა იანვრის პლენუმმა. შეიქმნა ახალი საფეხური მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში. პარტიამ კომუნისტური ფორმაციის სოციალისტური ფაზის გადაბა შეავსო დაჩქარებისა და გარდაქმნის თეორიული დებულებებითა და დასკვნებით, გაამდიდრა წარმოდგენა სოციალიზმის შესახებ და განსაზღვრა მისი მატერიალიზაციის სტრატეგიული კურსი. დადგა ახალი ეტაპი, რომელიც საზოგადოების თვისებრივ განახლებას, სოციალიზმის ახალ საფეხურზე გადასვლას მოასწავებს.

ნაჩქარევი აღმოჩნდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის უშუალო პრაქტიკულ ამოცანად დასახვა, მისი გზებისა და ადის განსაზღვრა, კომუნისტური პრინციპების შემოღების ცდა. იგი არ ითვალისწინებდა საზოგადოების მატერიალური და სულიერი მომზადების დონეს და, ამდენად, არც შეიძლებოდა მარცხით არ დამთავრებულიყო. ამ სუბიექტივისტურ წარმოდგენაზე უარის თქმას მოასწავებდა განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის წამოყენება. მან საბჭოთა საზოგადოების მიღწეული ეტაპი დაახასიათა, როგორც განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ეკუთვნის საკუთარ, კოლექტივისტურ სფეროზე ვითარდება. იგი ქმნის სოციალიზმის ხანგრძლივ, დამამთავრებელ ეტაპს, რომლის გავლის შემდეგ დაიწყება კომუნიზმის მშენებლობა. განვითარებული სოციალიზმის ცნება არ აღმოჩნდა სოციალიზმის ხანგრძლივი ფაზის დამამთავრებელი ეტაპის მნიშვნელოვანი კატეგორია.

პოლიტიკური და თეორიული აზროვნება განვითარებული სოციალიზმის დახასიათების დროს მიღწეულის ფიქსირებას ახდენდა, ყურადღებას ამახვილებდა წარმატებებზე, ისე რომ ჩრდილში რჩებოდა გადაუჭრელი საჭიროროტო პრობლემები (ეკონომიკის ინტენსიფიკაციის საკითხი, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება, ნეგატიური მოვლენების დაძლევა, რომლებიც მემკვიდრეობით შემოგვრჩა და გადაჭრას მოითხოვდა. გადასძალა თავისებურმა ფსიქოლოგიამ: „როგორმე ისე გაეუმჯობესებინათ საქმე, რომ არაფერი შეეცვალათ“.

გაჩნდა უძრაობა, კონსერვატორული განწყობილება, სტეგნაცია და საქმის დაშორება, სკეპტიციზმი და ცინიზმი. ქვეყნის განვითარება არ შეჩერებულა, მაგრამ მისი წინსვლა შეფერხდა. XXVII ყრილობამ, იანვრის პლენუმმა აშკარად, სრულიად გულახდილად უთხრეს პარტიას, ხალხს: ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უწინარესად სუბიექტივი მიზეზების გამო ვერ შეძლო დროულად და სრულად შეეფასებინა საზოგადოებაში კრიზისული მოვლენების მძაღლის საფრთხე და შეეუშავებინა მათი დაძლევისა და სოციალისტურ წყობილებაში ჩაქსოვილ შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების გეზი.

პრაქტიკული ცხოვრების, პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში ნეგატიური გავლენა მოახდინა თეორიულ ფრონტზე შექმნილმა ვითარებამ. თეორიული აზროვნება ჩამორჩა საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს, რამეთუ სოციალიზმის შესახებ თეორიული წარმოდგენა მნიშვნელოვანწილად რჩებოდა 30-40-იანი წლების დონეზე, როცა თეორიული ფრონტი იმდროინდელ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში საზოგადოების სრულიად სხვაგვარი ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებოდა და როცა საზოგადოებათმცოდნეობა სოციალური პრაქტიკის უცილობელ ჭეშმარიტებად მიღებულ ავტორიტარულ თეორიულ შეფასებათა კომენტატორობით კმაყოფილდებოდა.

დროთა მსვლელობაში, წლების მანძილზე პარტიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვნად მოიკვეთა ფეხი კომუნიზმზეზე ქარაფშუტულმა წარმოდგენამ და სოციალიზმის გამარტივებულმა გაგებამ, რომელმაც დაანგრია სოციალიზმის ისტორიული მნიშვნელობა. არ გვქონდა ნათელი წარმოდგენა ჩვენი ცხოვრების იმ ეტაპის ხასიათზე, რომელშიც ვიმყოფებით, ვერ ვხედავდით საზოგადოების რეალურ მდგომარეობას შთელი მისი სისტემათა და სირთულით, ჩრდილში რჩებოდა ჩვენი ცხოვრების მამამრავებელი ძალებისა და წინააღმდეგობების დიალექტიკა, დამკვიდრებული ფორმები სოციალიზმის არსის დამახასიათებელ ფორმებად იყო მიჩნეული და წინააღმდეგობები და ხარვეზები სოციალიზმის ბუნებრივ თანამგზავრებად იყო წარმოდგენილი, ვერ ვხედავდით საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის დიალექტიკურ თანამდევრნო საწარმოსთან „პოვაკის მანქანათსამშენებელი ქარხნები“, ბუდაპეშტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, უნგრეთის მრეწველობის სამინისტროს ენერგეტიკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა შრომები ხშირად ქვეყნდება საზღვარგარეთ, ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი კი უკვე ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატსა და 51 დოქტორს მოიცავს, შარშან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა აკადემიკოს თ. ლოლაძის წიგნი „ლითონების ჭრა“, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ „სითხეების მექანიკის ენციკლოპედიაში“ ერთ-ერთი თავი პროფესორ ა. ჯვარშეიშვილის დაწერილია.

— ნიშნავს თუ არა ინსტიტუტის მიღწევების ობიექტური შეფასება იმას, რომ თქვენ ყველა პრობლემა გაქვთ გადაწყვეტილი? — შევეკითხეთ სამეცნიერო-კვლევითი გამყოფილების უფროსს, პროფესორ გ. დემეტრაშვილს.

— ჩვენ გვაღელვებს ის, რომ საერთო ენთუზიაზმისა და

ᲘᲧᲐᲕ ᲡᲘᲪᲓᲘᲡᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ!

„ᲐᲠ მიყვარს პასუხისმგებელი მუშაკები, რომელიც მთელი ძალით ცდილობენ, რომ გამოიყურებოდნენ კიდეც როგორც პასუხისმგებელი მუშაკები, მე ისინი რატომღაც მეცოდებიან, წერდა ამას წინათ რობერტ როჟდესტვენსკი ერთ თავის მწკავე პუბლიცისტურ სტატიაში, — ისინი საქმეს თავისი შესაძლებლობის მხოლოდ ნახევარს ახმარენ. დანარჩენი ნახევარი „იერის შექმნას“ სჭირდება“.

ძალაუნებურად უნდა გაიყო: ერთი მხრივ, საჭიროა მუშაობა — ქალაქდების ვიზორება, ტელეფონით რეკვა, თათბირების მოწყობა, ხალხის მიღება, მეორე მხრივ კი — პასუხისმგებელი მუშაკის „სახის დამუშავება“. ეს ნიშნავს, რომ სავარძელში კი არ იჯდე, არამედ „ბრძანდებოდე“, კორიდორში კი არ დადიოდე, არამედ „მიემართებოდე“, ხელქვეითებთან კი არ საუბრობდე, არამედ „ხაზს თვალს უხედდე“, „ჭკუას ასწავლიდე“ და, რაც ყველაზე მთავარია, შუბზე მარად უნდა გემჩნეოდეს განუმეორებელი სახელმწიფოებრივი საზრუნავის აშკარა კვალი.

არა. ძალიან გაუჭირდება პასუხისმგებელ მუშაკს, რომელიც საქმესთან ერთად მოჩვენებითობაზეც ფიქრობს, — დაასკვნის ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, — თუმცა დარწმუნებული ვარ, რაგინდ რთული იყოს, მოჩვენებითობა უფრო იოლია, ვიდრე საქმის კეთება.

თქმა არ უნდა, საქმიანობა პოზიორობაზე ძნელია. ამაში ეთხეზედ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, როცა ერთი სამუშაო დღე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ნინო ჟვანიას კაბინეტში გავატარე. დღის პირველი ნახევარი თათბირებს დაეთმო, მეორე — მოქალაქეთა მიღებას, შესვენების ნაწილი ერთი ობიექტის დასათვალიერებლად იქნა გამოყენებული.

რად გამახსენდა მაინცდამაინც ამ დღეს ეს პუბლიკაცია? ამ კითხვის პასუხი სტატიაშია.

— **ᲐᲠᲘᲐᲜ** ადამიანები, ქალაქს რომ უხდებიან, ისე არიან თბილისის კოლორიტს შერწყმული, რომ უიმათოდ ძნელდება იმ სფეროს საქმიანობის წარმოდგენა, რომელსაც უძღვებიან, სადაც საქმიანობენ.

ჩვენი შენობა, საერთოდ ჩვენი მუშაობა ქალბატონ ნინოს გარეშე რაღაცნაირად ველარ წარმომიდგენიაო, — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთი მუშაკის ეს სიტყვები მხოლოდ დღევანდელ დღეს კი არ ეხება, როდესაც იმ დარგების საქმიანობა, რომლებსაც იგი, როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ხელმძღვანელობს, მართლაც წარმოუდგენელია ნინო ჟვანიას პიროვნების გარეშე. ასე იყო ყოველთვის, რა სფეროშიც უხდებოდა საქმიანობა.

აბა, ორმოციანი წლების საქართველოს კომკავშირის გახსენება იქნება უმისოდ? მოწაფეობის დროიდან მახსოვს, მასწავლებელი გვიამბობდა, თუ როგორ მოეწონათ საქართველოს კომკავშირის ცენტრაული კომიტეტის მდივნის ნინო ჟვანიას გამოსვლა კაღკუტაში აღმოსავლეთის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენციაზე. ანდა რამხელა ამაგი დასდო ომის წლებში ევაკუირებული ოჯახების ბავშვებს, რა ყურადღებით ეპყრობოდა თითოეულ მათგანს.

ერთი სიტყვით, სადაც კი საქმიანობდა — პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო თუ საბჭოთა სამუშაოზე, ყველგან დატოვა თავისი სტიღი, ხელწერა, მოგონება იმ წლებისა, იმ საქმიანობისა, ორგანულად რომ დაჰკავშირებია მის სახელს, აღბათ იმიტომ, რომ უგულოდ არასოდეს არაფერი უკეთებია, აღბათ იმიტომ, რომ ყველაფერში მისი სულის, მისი არსების ნაწილია დახარჯული („როგორ მესიამოვნება ქალაქში რომ გავიდე და რომელიმე სკოლაში, საბავშვო ბაღში, სკვერში, საავადმყოფოში, პოლიკლინიკასა თუ უბრალოდ კედელში ჩემ წილს დავინახავ, საოცარი გრძნობაა“).

ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲗᲐᲛᲝᲓᲐᲜ არ უნდა დახედო, ძირამდე უნდა ჩასწვდე. ჯერ უნდა შეისწავლო ყველაფერი ძირფესვიანად, მერე იმოქმედო. ძირეული რგოლი თუ მოშვებულია, მარცვა არ გამოვა. საქმეს ადამიანი აკეთებს. ჩვენ რთულ დროში ვცხოვრობთ, ავტომატიზაციის საუკუნეში, როცა „ჭკვიანი“ ტექნიკა გიგანტურ პრობლემებს ეჭიდება, მაგრამ კაცის მარჯვენა და გონება შეუცვლელია. ასეც რომ არ იყოს, ადამიანი ადამიანია და მას ადამიანური მოპყრობა უნდა.

მუდამ დიდი სიამოვნებით ვიგონებ თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორად ჩემი მუშაობის პერიოდს — 1958-1964 წლებს. ახლაც რაიმე საქმესთან დაკავშირებით იქ მისული ძველ, ჩემდროინდელ მუშაკებთან შეხვედრა ყოველთვის სიამეს მგვრის. მათაც გულწრფელად უხარიათ ჩემი ნახვა, ნამდვილად გულწრფელად. მოგონიი, ყაღბი სიხარული გამოცნობაზე იოღი რა არის. განა რაიმე განსაკუთრებული გამოკეთებია ვისმესთვის? არა. ზუსტად ეგებ ვერც ავხსნა, რა ედო საფუძვლად ჩვენს — მე და ჩემი კოლექტივის — გულითად ეამოკიდებულებას. ძირითადი, აღბათ, ის, რომ მათი ჭირის და ღხინის გამზიარებელი ვიყავი. ვცდილობი მიღოცვის ღროს მიღოცვა არ დამეკლო მუშაკისათვის, მწუხარების ღროს კი — თანადგომა.

ერთი ახალი წლის ღამეს, მახსოვს, გადავწყვიტე ღამის ცვლის მუშებისათვის ამ ყველასათვის საყვარელი ღღესასწაულის მოსვლა მიმეღოცა. არადა, მხოლოდ ერთი კანფეტი აღმომაჩნდა. რაღას ვიზამდი, უკვე გვიან იყო. პირველად დაზგის მუშას მივუღოცე და ის ერთი კანფეტი მივართვი, აგრე ტკბილად დამიბერეი-მეთქი. მანაც მომიღოცა და კანფეტი უკან დამიბრუნა, ვიცი, სხვებსაც უნდა მიუღოთ და სხვა კანფეტი აღარ გიჩანთო. ასე იტრიალა იმ ერთმა კანფეტმა მთელი საღამო.

მეორე წელს წინა წლის შეცდომა გავითვალისწინე და საახალწლოდ სპეციალურად მოვმარაგდი. თურმე ნუ იტყვით, მათაც უფიქრიათ, დირექტორი ისევ ერთი კანფეტისმარა არ დაგვრჩესო, და საამისო თადარიგი დაუჭერიათ. ასე რომ, მე რომ მივულოცავდი და ერთ კანფეტს ვაჩუქებდი, ისინი ორ-სამ ცალს უკან მიბრუნებდნენ...

მაგალს ჰგონია, თავმდაბლობას თუ გამოვიჩენ, გავუბარაღოვდები გარშემო მყოფთა თვალში და ჩემს რეპუტაციას რაიმე მოაკლებთო. პატარაკაცური ფიქრია ეს ფიქრი. პირიქით, ადამიანს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც ჭეშმარიტი თავმდაბლობა... დამშვენებასაც თავი დავანებოთ, საქმეს აღვება ხელმძღვანელის ეს თვისება.

გავიხსენებ მაგალითისათვის, რა ხშირად ვუწყრებოდი ხოლმე თანამშრომლებს ფაბრიკის ეზოში უადგილოდ მიმოფანტული ქაღალდის ნაგლეჯების, სიგარეტის ნამწვავების თუ სხვა ნაგვის გამო. არაფერი გამოდიოდა. ერთხელ, ეზოში რომ გამოვიარე, ავკიფე ეს ქაღალდები და იქვე ნაგვის ურნაში ჩავყარე, დამინახეს თანამშრომლებმა, დირექტორმა თვითონ აკრიფა ჩვენი ნაყრიელი ნაგავიო, და იმის მერე, გაგერამ? აღარ მინახავს დაუდევრად დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯი ფაბრიკის ეზოში. დაკაღდა ამით რაიმე ჩემს ავტორიტეტს? არა მგონია. ეს უბრალო მაგალითია, ისე საერთოდ თავმდაბლობა ჩემს წარმოდგენაში სუდგრძელობას უკავშირდება. ზემოთ შემოხხვევით არ მიხსენებია პატარაკაცური ფიქრი. ნაღდი თავმდაბალი უთუოდ სუდგრძელი კაცია. გაბღენძილი, ჩვენი ხალხი უკეღო ამპარტავანს რომ უწოდებს, სუდმოკე ადამიანია ადვილად. აბა, პატარა კაცი იტყვის იუბილეს გადახდაზე უარს? ბუნებით პატარები მოითხოვენ ხოლმე, გინდა თუ არა იუბილე გადამიხადეთ, დამსახურება აღმინიშნეთო.

ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ რომ არ მივა ხელქვეითთან თუ ვინმე ნაცნობთან, კითხულობენ ქალბატონ ნინო აკად ხომ არ არის, სხვაგვარად ჩვენს ცარამს გაუზიარებდად არ დატოვებდა. ღსინზეც ყოველთვის ეღიან, ერთი წუთით მაინც შემოვიღის, მეტი ღრო თუ ვერ ნახაო.

ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ჭეშმარიტი საქმისა და საქმიანობის იმიტაციის, ანუ იმის შესახებ, თუ რატომ გამახსენდა ცნობიერი პოეტისა და პუბლიცისტის სიტყვები ნინო ჟვანიას მუშაობის სტილთან დაკავშირებით.

მილებაზე ახალგაზრდა ქალი შემოღის: კერძო ბინაში, რომელსაც კონკრეტული მფლობელი უკვე აღარ ჰყავს. ერთ 14 კვადრატულ მეტრიან ოთახში ექვსი სული ვცხოვრობთ, ავტომატიზაციის საუკუნეში, როცა „ჭკვიანი“ ტექნიკა გიგანტურ პრობლემებს ეჭიდება, მაგრამ კაცის მარჯვენა და გონება შეუცვლელია. ასეც რომ არ იყოს, ადამიანი ადამიანია და მას ადამიანური მოპყრობა უნდა.

მუდამ დიდი სიამოვნებით ვიგონებ თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორად ჩემი მუშაობის პერიოდს — 1958-1964 წლებს. ახლაც რაიმე საქმესთან დაკავშირებით იქ მისული ძველ, ჩემდროინდელ მუშაკებთან შეხვედრა ყოველთვის სიამეს მგვრის. მათაც გულწრფელად უხარიათ ჩემი ნახვა, ნამდვილად გულწრფელად. მოგონიი, ყაღბი სიხარული გამოცნობაზე იოღი რა არის. განა რაიმე განსაკუთრებული გამოკეთებია ვისმესთვის? არა. ზუსტად ეგებ ვერც ავხსნა, რა ედო საფუძვლად ჩვენს — მე და ჩემი კოლექტივის — გულითად ეამოკიდებულებას. ძირითადი, აღბათ, ის, რომ მათი ჭირის და ღხინის გამზიარებელი ვიყავი. ვცდილობი მიღოცვის ღროს მიღოცვა არ დამეკლო მუშაკისათვის, მწუხარების ღროს კი — თანადგომა.

ერთი ახალი წლის ღამეს, მახსოვს, გადავწყვიტე ღამის ცვლის მუშებისათვის ამ ყველასათვის საყვარელი ღღესასწაულის მოსვლა მიმეღოცა. არადა, მხოლოდ ერთი კანფეტი აღმომაჩნდა. რაღას ვიზამდი, უკვე გვიან იყო. პირველად დაზგის მუშას მივულოცე და ის ერთი კანფეტი მივართვი, აგრე ტკბილად დამიბერეი-მეთქი. მანაც მომიღოცა და კანფეტი უკან დამიბრუნა, ვიცი, სხვებსაც უნდა მიუღოთ და სხვა კანფეტი აღარ გიჩანთო. ასე იტრიალა იმ ერთმა კანფეტმა მთელი საღამო.

მეორე წელს წინა წლის შეცდომა გავითვალისწინე და საახალწლოდ სპეციალურად მოვმარაგდი. თურმე ნუ იტყვით, მათაც უფიქრიათ, დირექტორი ისევ ერთი კანფეტისმარა არ დაგვრჩესო, და საამისო თადარიგი დაუჭერიათ. ასე რომ, მე რომ მივულოცავდი და ერთ კანფეტს ვაჩუქებდი, ისინი ორ-სამ ცალს უკან მიბრუნებდნენ...

მაგალს ჰგონია, თავმდაბლობას თუ გამოვიჩენ, გავუბარაღოვდები გარშემო მყოფთა თვალში და ჩემს რეპუტაციას რაიმე მოაკლებთო. პატარაკაცური ფიქრია ეს ფიქრი. პირიქით, ადამიანს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც ჭეშმარიტი თავმდაბლობა... დამშვენებასაც თავი დავანებოთ, საქმეს აღვება ხელმძღვანელის ეს თვისება.

გავიხსენებ მაგალითისათვის, რა ხშირად ვუწყრებოდი ხოლმე თანამშრომლებს ფაბრიკის ეზოში უადგილოდ მიმოფანტული ქაღალდის ნაგლეჯების, სიგარეტის ნამწვავების თუ სხვა ნაგვის გამო. არაფერი გამოდიოდა. ერთხელ, ეზოში რომ გამოვიარე, ავკიფე ეს ქაღალდები და იქვე ნაგვის ურნაში ჩავყარე, დამინახეს თანამშრომლებმა, დირექტორმა თვითონ აკრიფა ჩვენი ნაყრიელი ნაგავიო, და იმის მერე, გაგერამ? აღარ მინახავს დაუდევრად დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯი ფაბრიკის ეზოში. დაკაღდა ამით რაიმე ჩემს ავტორიტეტს? არა მგონია. ეს უბრალო მაგალითია, ისე საერთოდ თავმდაბლობა ჩემს წარმოდგენაში სუდგრძელობას უკავშირდება. ზემოთ შემოხხვევით არ მიხსენებია პატარაკაცური ფიქრი. ნაღდი თავმდაბალი უთუოდ სუდგრძელი კაცია. გაბღენძილი, ჩვენი ხალხი უკეღო ამპარტავანს რომ უწოდებს, სუდმოკე ადამიანია უდავოდ. აბა, პატარა კაცი იტყვის იუბილეს გადახდაზე უარს? ბუნებით პატარები მოითხოვენ ხოლმე, გინდა თუ არა იუბილე გადამიხადეთ, დამსახურება აღმინიშნეთო.

ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ რომ არ მივა ხელქვეითთან თუ ვინმე ნაცნობთან, კითხულობენ ქალბატონ ნინო აკად ხომ არ არის, სხვაგვარად ჩვენს ცარამს გაუზიარებდად არ დატოვებდაო. ღსინზეც ყოველთვის ეღიან, ერთი წუთით მაინც შემოვიღის, მეტი ღრო თუ ვერ ნახაო.

ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ჭეშმარიტი საქმისა და საქმიანობის იმიტაციის, ანუ იმის შესახებ, თუ რატომ გამახსენდა ცნობიერი პოეტისა და პუბლიცისტის სიტყვები ნინო ჟვანიას მუშაობის სტილთან დაკავშირებით.

მილებაზე ახალგაზრდა ქალი შემოღის: კერძო ბინაში, რომელსაც კონკრეტული მფლობელი უკვე აღარ ჰყავს. ერთ 14 კვადრატულ მეტრიან ოთახში ექვსი სული ვცხოვრობთ და აღრიცხვაზე აყვანაში დამეხმარეთო.

საქმე ის გახლავთ, რომ აქამდე მოქმედი დებულების მიხედვით კერძო ბინაში, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, საცხოვრებელი ფართობი იანგარიშება არა ცალ-ცალკე, ოჯახების მიერ დაკავებული მეტრაჟის მიხედვით, არამედ საერთოდ — მთელი ფართობის მცხოვრებთა რაოდენობაზე გაყოფით. გამოდის, რომ ერთი ოჯახის მიერ დაკავებული დიდი ფართობი მეორე, მის გვერდით რაგინდ სივიწროვეში მყოფ ოჯახს აღრიცხვაზე ასვლის საშუალებას ართმევს, რადგან ამ უცნაური საშუალო არითმეტიკულით მათზე სანიტარიულ ნორმაზე მეტი ფართობი მოდის.

ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ გადამუშავდა დებულება, რომლის მიხედვითაც მსგავს სიტუაციაში კონკრეტულ ოჯახს აღრიცხვაზე ასვლის საშუალება ეძლევა. გადაიღებ ერთ კვადრატულ მეტრიან ოთახში ექვსი სული ვცხოვრობთ და აღრიცხვაზე ყველანაი ერთ ოჯახად ითვლებიო. ბიუროკრატიული აპარატი ძლიერია — მასთან ბრძოლა — მტერს!

ესეც არ იყოს, ანალოგიური საკითხები აღგიღებზე უნდა წყდებოდეს, და არა ქალაქის საბჭოში. და ქალბატონი ნინოც მართალი იქნებოდა მოვალეობის გრძნობასთან, სათანადო რეზოლუცია რომ დაეღო განსახილებაზე და მიღება ორიოდე წუთში დაემთავრებინა. მაგრამ, თუ არა მან, ვინ იცის, რა გადაუღახავია ბიუროკრატიული ბარიერები და ის, რომ განცხადებაზე დადებული რეზოლუცია ყოველთვის არ არის საქმის ბოლომდე მოყვანის სრული გარანტია. ამიტომ ვერ მორჩა მიღებას ორიოდე წუთში. უფრო მეტი ღრო დასჭირდა ტელეფონით დარეკვას, საქმის ვითარების გარკვევას. სამაგიეროდ მოქალაქე ამით არ გასულა კაბინეტიდან, რითაც შემოვიდა. საქმე მოუგვარდა.

სამამუღო ომში ღალუპულის ქვრივს საკუთარი ბინის შესაკეთებლად საშენი მასალა სჭირდებოდა. ვერ ეახმარებინან აღმასკომში, რაიკომში. ისევ იმის გარკვევა, თუ ვის ეხება უშუალოდ ეს საქმე, ისევ მადღობა, დიდი მადღობა, ნანდა-ზმუდ ქვრივს სიტყვები არ ჰყოფნის მადღობის სათქმელად... ზოგჯერ ამ კეთილშობილ საქმეში ბიუროკრატიული ბარიერი ეკარგებოდა ადამიანს. ეს ბარიერი ეკარგებოდა ადამიანს, ეს ბარიერი ეკარგებოდა ადამიანს, ეს ბარიერი ეკარგებოდა ადამიანს,

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საქინფორმის კორ.) ეს დღესასწაული სამუდამოდ დარჩება იმათ მეხსიერებაში, ვინაც ბედნიერება ხვდა 8 ივნისს დასწრებოდა ᲞᲣᲩᲘᲜᲘᲡ ოპერა „ტოსკას“ წარმოდგენას ქუთაისში. ხუთი წლის წინათ რეჟისორ ვ. ნიკოლაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში (სცენოგრაფია მ. მგალობლიშვილისა) მღეროდნენ საოპერო სცენის ვარსკვლავები. გლორია ტოსკას პარტიას ასრულებდა მ. ქასრაშვილი, კავარადოსისას — ზ. სოტკილავა, სკარპიას პარტიას — სსრ კავშირის დიდი თეატრის ახალგაზრდა სოლისტი მ. მასლოვი. მათი პარტნიორები იყვნენ ქუთაისელი მომღერლები ი. ქუთათელაძე, რ. ლიპარკეიშვილი, ა. გუჯაბიძე და სხვები. სპექტაკლს დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი.

მაყურებელმა ღირსეულად შეაფასა სახელგანთქმულ მომღერალთა გამოსვლები. იფიქრებდით, ქალაქში ყვავილები აღარ დარჩაო — იმდენი მიართვეს სპექტაკლის მონაწილეებს.

— დიდ თეატრში ოცი წლის მუშაობის მანძილზე, მსოფლიოს ორმოცზე მეტ ქვეყანაში მომიწია გამოსვლამ, მაგრამ ასე ლაღად მხოლოდ აქ, მშობლიურ ქალაქში, ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის ქალაქში მემღერება, — ამბობს მ. ქასრაშვილი.

— მ. ქასრაშვილი. არა მარტო გამოჩენილი მომღერალი, არამედ საოპერო ხელოვნების ნამდვილი პროპაგანდისტია, თქვა სპექტაკლის შემდეგ ო. დიმიტრიადიმ. — ფესტივალს ხომ, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ მაყვალა და ზურაბი, არსებითად ანალოგი არა აქვს ქვეყანაში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქუთაისის ფესტივალი სულ უფრო ახალ შემსრულებლებს მიიზიდავს, მას დიდი მომავალი აქვს.

სპექტაკლის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტმა მაყვალა ქასრაშვილსა და ზურაბ სოტკილავას ტრადიციული კითხვა დაუსვა მათი შემოქმედებითი გეგმების შესახებ.

მ. ქასრაშვილი: „ამ დღეებში ე. ობრაზცოვასთან ერთად საგასტროლოდ მივემგზავრები ესპანეთში. ჰავანაში გამოვალ მასკანის ოპერა „სოფლის პატიოსნებაში“, რამდენიმე სოლო კონცერტს გავმართავ. შემდეგ ზ. სოტკილავასთან ერთად გავემგზავრები ოსლოში ვერდის „რეკვიემის“ შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, ამ ზაფხულ-ში ვიმღერებ აიდას პარტიას ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში. მონრეალში მონაწილეობას მივიღებ დ. შოსტაკოვიჩის მე-14 სიმფონიის შესრულებაში“.

ზ. სოტკილავა: „ამ დღეებში მივემგზავრები მილანს, იქიდან კი პარიზში. იქ ერთი თვის განმავლობაში მონაწილეობას მივიღებ „გრანდ-ოპერის“ სპექტაკლებში, გავმართავ სოლო კონცერტებს. ფგვისტოში გასტროლები მექნება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში. სექტემბერ-ოქტომბერში სსრ კავშირის დიდი თეატრის კოლექტივთან ერთად უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ვმოგზაურობ“.

* * *

9 ივნისს დამთავრდა მეორე ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები“. მისი დასკვნითი აკორდი გახდა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რომელშიც ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტებთან, გუნდთან და ორკესტრთან ერთად გამოვიდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტები ა. ხომერიკი, დ. მდივანი, მ. თომაძე, ლ. კალმახელიძე. პულტთან იდგა ქუთაისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი რ. ხურციელავა. სპექტაკლის დაწყების წინ ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ ქუთაისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ოყრეშიძე და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი.

ფესტივალის ყველა მონაწილის სახელით შეკრებილთ მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. სოტკილავამ.

ფესტივალის სპექტაკლებს ეს წრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ლორთქიფანიძე.

ᲧᲐᲑᲐᲜᲘ

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲮᲓᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ცნობა მოვიდა ბულგარეთიდან. ქალაქ პლოვდივში გამართულ სპორტსაზოგადოება „თრაკიის“ შექმნის 75 წლისთავის აღსანიშნავ საერთაშორისო შეჯიბრებაში 57 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოკრივეთა შორის პირველ ადგილს დაეუფლა თბილისელი ხვიჩა ხდრიანი. მან ყველა შეხვედრა კარგი სტილით მოიგო და, ცხადია, ოქროს მედალს დაესაკუთრა.

საბჭოთა სპორტსმენთაგან კიდევ სამმა მოკრივემ მოიპოვა უძლიერესის წოდება. ესენი არიან ლენინგრადელი ვლადისლავ ანტონოვი (54 კგ-მდე წონა), მოსკოველი იგორ არსინი (67 კგ) და ვილნიუსელი მიხეილ სადოვსკი (81 კგ)..

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ქალაქ ტულონში დაიწყო 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ტრადიციული „იმედის ტურნირი“. პირველი მატჩების შედეგები ასეთია: „ა“ ჯგუფი. სსრ კავშირი-საფრანგეთი — 0:0, ინგლისი-მაროკო — 2:1. უკანასკნელ საათს მიღებული ცნობით, საბჭოთა ფეხბურთელებმა ინგლისელებთან შეხვედრაშიც ფრედ ითამაშეს — 0:0; „ბ“ ჯგუფი. ბულგარეთი-იტალია — 1:0, ბრაზილია-პორტუგალია — 0:0.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐᲕᲔ ქალაქ კრუაში დამთავრებულ 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრების მთავარი პრიზი გადაეცათ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებს. ფინალში ჩვენი სპორტსმენები უნდა შეხვედროდნენ პორტუგალიის გუნდს — „პორტოს“. სამწუხაროდ, უხეშობის გამო ეს შეხვედრა მხოლოდ 15 წუთს გაგრძელდა... პირველი ტაიმის მეთხუთმეტე წუთზე პორტუგალიელმა კაბრალმა იმდენად უხეშად ითამაშა, რომ დინამოელთა ფეხბურთელ ზუბოვს ფეხი მოსტეხა. ამის გამო კაბრალს არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ პორტუგალიელმა მოედანს დატოვება არ ინება. მსაჯმა მატჩი შეწყვიტა და გამარჯვება მოსკოვის „დინამოს“ მიეკუთვნა. მესამე ადგილზე გამოვიდა შოტლანდიის „მოზეველი“, რომელმაც ამ ადგილისათვის მატჩში დამამარცხა იუგოსლავიის „ჰაიდუკი“ — 1:0.

ᲒᲣᲜᲘᲜ გიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტურის რამდენიმე მატჩი. შედეგები ასეთია: „მეტალისტი“-მინსკის „დინამო“ — 0:1, მოსკოვის „ტორპედო“-„ფაკელი“ — 1:1, „არარატი“-მოსკოვის „დინამო“ — 2:0.

ᲒᲣᲜᲘᲜᲘᲗ მოეწყო პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის შეხვედრები. ამ ლიგაში მოასპარეზე საქართველოს კოლექტივებებმა ასეთი შედეგებით დაამთავრეს მატჩები: ქუთაისის „ტორპედო“-ვორონეჟის „ფაკელი“ — 0:0, ბათუმის „დინამო“-ეროგოგრადის „როტორი“ — 0:2.

ᲔᲠᲗᲘ წლის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყება ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. დღეისათვის უკვე გაყიდულია 120 ათასი ბილეთი. ამ ასპარეზობის პირველი მატჩი გაიმართება 10 ივნისს დიუსელდორფში „რაინის სტადიონზე“. პირველ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს გფრ-ის ნაკრები და ამ მატჩის იმ 29 ათასი ბილეთიდან, რომლებიც გასაყიდად გამოიტანეს, უკვე 21 ათასი ბილეთი შეიძინეს ფეხბურთის მოყვარულებმა. როგორც გამოაცხადეს, სულ ნახევარი მილიონი ბილეთი გაიყიდება.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. საბერძნეთში მიმდინარე ვაჟთა გუნდების შორის ევროპის ჩემპიონატის ორი მეოთხედფინალური მატჩი ასე დამთავრდა: სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია — 110:91 (55:51), ესპანეთი-გფრ — 107:77 (56:36). ამრიგად, ნახევარფინალისაკენ გზა გაიკაფეს საბჭოთა და ესპანელმა კალათბურთელებმა. გუშინ კიდევ ორი ნახევარფინალისტის ვინაობა უნდა გარკვეულიყო: მეოთხედფინალში იტალიელ ლ. ბიხვდებოდნენ ბერძნებს, პოლონელები — იუგოსლავებს.

ᲩᲝᲑᲣᲠᲘ. დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბირმინჰემში დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრების პირველ წრეში საბჭოთა სპორტსმენებმა ნატალია ბიკოვამ და სვეტლანა პარხომენკომ შესაბამისად დაამარცხეს ალისა მოლტონი (აშშ) — 3:6, 6:3, 6:3 და ლუიზა ფილდი (ავსტრალია) — 6:7, 6:4, 6:2.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲡᲐᲚᲘ ᲛᲔᲩᲐᲩᲘ

▼▼

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, რესპუბლიკის ისტორიის წყაროების კომისიამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა ქალაქ მახარაძეში მოაწყვეს რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს.

სესიაზე, რომელიც საბრძოლო დიდების რესპუბლიკური სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა, მეცნიერებმა საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს.

▼▼

საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების სახლმა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდიკურმა ცენტრმა მოაწყვეს საქართველოს კულტურის სასახლეებისა და სახლებთან არსებული სასუფე ორკესტრების დათვალიერება - ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სოხუმის, ბათუმის, წულუკიძის, თელავის, მარნეულის, შაუმიანის, წალენჯიხისა და ცხინვალის სასუფე ორკესტრები.

ამ დღეს მთაწმინდაზე თითოეულმა კოლექტივმა ხუთ-ხუთი ნაწარმოები შეასრულა და მსმენელთა საერთო მოწონებაც დაიმსახურა. კოლექტივებს იქვე გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

▼▼

ამიერიდან თბილისის საღეღსასწაულო წყლ-ნვეულებების სასახლეში სუფრას მთელი წლის მანძილზე დაამშვენებს სიი და კენკრა. სასახლის საჯვეების გაერთიანების შუაკეები შეუდგნენ ქალაქის ბაზებში გამოტანილი ხენერო, აღუჩის, ბლის დაკოსტვრებას. ოთხი ათასი ცალი პირობითი ქილა! ეს პროდუქცია უზრუნველყოფს სასახლეს მთელი შემოდგომა-ზამთრის სეზონში ჰქონდეს გემრიელი დესერტი. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ მიეცათ უფლება შეისყიდონ ზოგიერთი სახეობის ხიდროსტნეულის პროდუქცია, რომლის ნაკლებობას განიცდის სახვაჭრობის სისტემა.

▼▼

რუსთავის სახალხო რუსული დრამატული თეატრის კოლექტივმა დადგა ვ. ვოლოდარსკის პიესა „რევოლუციის რიგითი“. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ამ სპექტაკლით თეატრის დასმა, რომელმაც ახლახან თავისი 30 წლისთავი აღნიშნა, გახსნა თვითმოქმედი ხელოვნების კვირეული. იგი რუსთავში ეწყობა ხალხური ხელოვნების საკავშირო ფესტივალის ფარგლებში.

კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა „კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თვითმოქმედი საესტრადო ანსამბლები. ახალ საგაზოფენო დარბაზში ექსპონირებული იყო რუსთაველ კარიკატურისტთა ნამუშევრები. თავიანთი ხელოვნება გვიჩვენეს მეტალურგთა, ქიმიკოსთა კულტურის სასახლეების კოლექტივებმა. ბავშვთა ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ყვავილები და მზე“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ
38009 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲔᲑᲘᲚᲘ — 99-93-03, 99-03-09; ᲐᲛᲮᲒᲘᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲒᲘᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-22-93, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲒᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲠᲘᲡᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.
ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲩᲮᲣᲜᲗᲐᲠᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲜᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲜᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-86; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲙᲣᲘᲜᲣᲚᲘ — 25-82; ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲐ — 45-32.

ᲓᲦᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ● ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲐᲨᲘ
ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

„ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘᲡ“ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ. ვენეციის ლაგუნში მდებარე სან-ჯორჯო მაჯორეს კუნძულზე მუშაობას განაგრძობს დიდი კაპიტალისტური „შვიდეულის“ — იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის თათბირი. მთელი ღამის განმავლობაში „შვიდეულის“ სამუშაო დელეგაციები ცდილობდნენ შეემუშავებინათ საბოლოო კომუნიკე. გამოქვეყნდა თათბირის პირველი დოკუმენტები, რომლებიც ეხება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას, ირან-ერაყის კონფლიქტსა და ტერორიზმს.

დელეგაციების წრეებიდან ცნობილი გახდა, რომ თათბირის პირველი დღე ძირითადად მიეძღვნა სპარსეთის ყურეში არსებულ ვითარებას. ამერიკის მხარე აშკარა ზეგავლენას ახდენს მოკავშირეებზე, რათა ჩააბას ისინი თავის ავანტიურისტულ აქციებში, რომელთა განხორციელებასაც აპირებს ამ რეგიონში. ვენეციაში რეიგანის ჩამოსვლის მომენტში კორესპონდენტებმა შეძლეს რამდენიმე შეკითხვა მიეცათ მისთვის სპარსეთის ყურეში ამერიკის შეერთებული შტატების გეგმების, კერძოდ, იმის შესახებ, რომ გამაფრთხილებელი დარტყმის მიყენებას აპირებს ირანისათვის. „ეს სიცრუეა, ბატონო პრეზიდენტო?“ „მე არასდროს არ ვცრუობ“, — უპასუხა რეიგანმა. აქ აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობენ განცხადებას, რომელიც პრესისათვის გააკეთა პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების დარგში ფრენკ კარლუჩიმ. მან თქვა: ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს მიაღწიოს სპარსეთის ყურეში ვაშინგტონის მოქმედებისათვის მოკავშირეების დიპლომატიურ მხარდაჭერას, რაც შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ მოკავშირეებმა ოპერატიული ბაზები დაუთმონ ამერიკას სამხედრო ზომალდებისათვის.

განმარტავს რა ამ გამონათქვამს, გავლენიანი „კორიერე დელა სერა“ ბეჭდავს ცნობას საოთხრით „ამერიკის მოთხოვნას მხარდაჭერის შესახებ არ ეთანხმებიან მოკავშირეები“. როგორც ირან-ერაყის კონფლიქტის თაობაზე დღეს აქ გამოქვეყნებული განცხადება ცხადყოფს, ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიიღონ ვაშინგტონის სამხედრო წამოწყებაში სპარსეთის ყურეში. მათ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ამ კონფლიქტის გადაწყვეტას.

თუმცა ვენეციის თათბირს ოფიციალურად „უმაღლესი დონის ეკონომიკური შეხვედრები“ ეწოდება, მისი მონაწილენი, უწინარეს ყოვლისა ამერიკის ადმინისტრაციის მეთაური, ამ ფორუმს იყენებენ საკუთარი პოლიტიკური მიზნებით, დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის გაზეთების მრავალი მიმომხილველი საერთო თვალსაზრისს ადგას იმ საკითხში, რომ რეიგანი ვენეციაში ცდილობს განიტკიცოს დასავლეთის კავშირის ლიდერის საგრძნობლად შერყეული პოზიციები. უწინარესად ეს აიხსნება საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივის უდიდესი ზემოქმედებით. იხალისის კონსერვატიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერს: პრეზიდენტი რეიგანი თავის ვიზიტს ვენეციაში იყენებს იმისათვის, რომ როგორმე შეარყიოს დასავლეთ ევროპაში საბჭოთა პოლიტიკის მზარდი პოპულარობა.

აქ მიღებულ განცხადებაში თათბირის მონაწილენი აყალიბებენ უკვე ცნობილ პოზიციას ტერორიზმის საკითხებზე, მაგრამ დუმან სახელმწიფო ტერორიზმზე, რომელიც შეერთებულმა შტატებმა თავის პოლიტიკად აქცია სხვადასხვა რეგიონში. აქ ფართოდ განიხილავენ რომიდან მიღებულ ცნობებს იმის თაობაზე, რომ იქ ტერორისტული აქციები განახორციელეს ამერიკისა და ინგლისის საელჩოების წინააღმდეგ.

ᲙᲠᲔᲡᲐ ᲐᲫᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔ

ᲔᲜᲓᲝᲒᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. „სადღეისოდ შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში მიღწეული ერთგვარი პროგრესი ძირითადად საბჭოთა კავშირის დამსახურებაა, და არა ამერიკის შეერთებული შტატებისა, ასეთი აზრისაა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის 2 000-ზე მეტი უდიდესი უმრავლესობა — ეს გამოკითხვა საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და დიდ ბრიტანეთში მოაწყო შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, სააგენტოს მიერ სპეციალურად თეთრი სახლისათვის მომზადებული კონფიდენციალური გამოკვლევის შედეგების თანახმად, დასავლეთევროპელთა უმრავლესობა ამერიკის შეერთებულ შტატებზე უფრო საბჭოთა კავშირს ენდობა შეიარაღების შეზღუდვისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვის საკითხებში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოკითხულთა 72 პროცენტმა განაცხადა, რომ შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში მიღწეული პროგრესი მ. ს. გორბაჩოვის დამსახურებაა. გამოკითხულთა მხოლოდ 9 პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა შეერთებული შტატების პრეზიდენტს. დიდ ბრიტანეთში ამ მონაცემებმა შესაბამისად შეადგინა 63 პროცენტი 13 პროცენტის წინააღმდეგ. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, გამოკითხვამ ცხადყო, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ვერ დაარწმუნა დასავლეთევროპელები, თითქოს „არ შეიძლება ენდო საბჭოთა კავშირს მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში“. უფრო მეტიც, როგორც გამოირკვა, დასავლეთ ევროპაში არ სჯერათ შეერთებული შტატებისა. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოკითხვის მონაწილეთა 53 პროცენტის აზრით, შეერთებული შტატები არ დაიცავს შეიარაღებისადმი კონტროლის ხელშეკრულების პირობებს, თუკი ასეთი ხელშეკრულება დაიდება, დიდ ბრიტანეთში ასეთი აზრისაა 49 პროცენტი.

გაზეთი წერს, რომ შეერთებული შტატებისადმი დასავლეთევროპელთა უნდობლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა უარი თქვას სენატის მიერ დაუმტკიცებელი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შესრულებაზე, აგრეთვე ის, რომ თეთრი სახლი ცდილობს გადასინჯოს 1972 წლის რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება.

საინფორმაციო სააგენტოს გამოკვლევამ, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, შეაშფოთა შეერთებული შტატების პოლიტიკის მესვეურები, რომლებმაც გამოკითხვის შედეგები მიიჩნიეს იმის მოწმობად, რომ ამერიკა აგებს დასავლეთევროპელთა „გონებისა და გულისათვის“ პროპაგანდისტულ ომს.

● ᲜᲐᲛᲘᲒᲘᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲚᲣᲐᲜᲓᲐ. ᲡᲐᲛᲮᲠᲗᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲣᲛ ᲜᲣᲝᲘᲛᲐᲛ ᲐᲫ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ.



ᲨᲘᲦᲚᲘᲡ ეპიდემია, რომელიც სულ უფრო ვრცელდება მსოფლიოს ქვეყნებში, ააქტიურებს მეცნიერულ გამოკვლევებს ამ საშიში დაავადების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში.

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსის) გამომწვევი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა ძიებაში წარმატებას მიაღწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა, რომლებიც მუშაობენ ბერლინის ცნობილი კლინიკის „შარიტეს“ იმუნოლოგიის ინსტიტუტში. ამ კოლექტივმა, იუწყება ადნის სააგენტო, ადამიანის ორგანიზმში აღმოაჩინა მონოკლონური ანტისხეულები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ შიდსის ვირუსის სტრუქტურულ პროტეინებზე. შემუშავებულია ლაბორატორიის პირობებში მათი მიღების ხერხი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რიუდიგერ ფონ ბერი და თანამშრომელი როზელოტე ვიჩკე ერთ-ერთ ლაბორატორიაში.

ᲐᲓᲜ-ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე და სამუდამოდ აღმოვფხვრათ იგი კაცობრიობის ცხოვრებიდან. ეს აქ გამართული მოლაპარაკების დროს განაცხადეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ᲰᲝᲜᲔᲙᲔᲠᲛᲐ და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯაო ძიანმა. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მშვიდობისა და ურთიერთგაგების შენარჩუნებით დინტერესებულ მთელ ძალებთან ერთად გაიმართოს პოლიტიკური დიალოგი.

ე. ᲰᲝᲜᲔᲙᲔᲠᲛᲐ ჯაო ძიანს ნაცნო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირის შედეგები. მოკავშირე სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, დასახეს შემდგომი მოქმედება და მთელი რიგი კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს იმ მიზნით, რომ შეწყდეს დედამიწაზე გამალებული შეიარაღება და არ დაუშვან კოსმოსში მისი გადატანა.

ჯაო ძიანმა ილაპარაკა ჩინეთის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ხალხთა კეთილდღეობისათვის.

მოლაპარაკების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ორმხრივი ურთიერთობის მიღწეული დონე და ორივე ქვეყნის დინამიკური განვითარება საუკეთესო საფუძველია მათ შორის ინტენსიური თანამშრომლობისათვის, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში.

● ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘ ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. შეერთებული შტატები და იაპონია საცაა დადებენ შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის ფარგლებში — ასე განმარტა სამხედრო-სამრეწველო წრეებთან დაახლოებულმა გაზეთმა „დიფენს ნიუსმა“ ვაშინგტონში მიმდინარე „სტრატეგიულ თავდაცვის ინიციატივაში“ იაპონიის მონაწილეობის თაობაზე